

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2370

ქ. ბათუმი, 12 ივლისი 2018 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის ჩატარების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“<sup>1</sup> ქვეპუნქტების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26<sup>2</sup>-ე მუხლის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილების, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მაისის N43 დადგენილების და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N53 განკარგულების შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის ჩატარებისა და მასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების განხორციელების მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

- ა) თენგიზ პეტრიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) ემზარ ქავჭარაძე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოად-

- გილე);
- გ) ომარ მახარაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
  - დ) დავით მახარაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (კომისიის წევრი);
  - ე) გოჩა მგელაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
  - ვ) მიხეილ დუნდუა - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (კომისიის წევრი);
  - ზ) მინდია წულაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (კომისიის წევრი);
  - თ) გენად შავაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (კომისიის წევრი);
  - ი) სიმონ სიხარულიძე - ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირის აჭარის რეგიონალური კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
  - კ) ტიტე აროშიძე - ა(ა)იპ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ პროექტების მენეჯერი (კომისიის წევრი);
  - ლ) ლაშა ნაკაშიძე - UNDP-GEF პროექტის „მწვანე ქალაქები: მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის“ ხელმძღვანელი (კომისიის წევრი).

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები განისაზღვროს თანახმად დანართი 1-სა;

### 3. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის ჩატარებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის დებულება, თანახმად დანართი 2-სა;

ბ) ნებართვის მაძიებლის მიერ საკონკურსო განაცხადის ფორმა, თანახმად დანართი 3-სა;

გ) სამარშრუტო ხაზზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლების (მონაცემები მიკროავტობუსების შესახებ) ფორმა, თანახმად დანართი 4-სა (ნებართვის მაძიებელმა სამარშრუტო ხაზზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლების (მონაცემები მიკროავტობუსების შესახებ) ინფორმაცია წარმოადგინოს თანახმად დანართი 4-სა ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით).

4. დაევალოს კომისიას „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილების და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დანართი 1-ის და დანართი 2-ის შესაბამისად უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის ჩატარება, გამარჯვებულის გამოვლენა და კომისიის შედეგების წარდგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გამარჯვებულზე ნებართვის გასაცემად.

5. კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილებას.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

„დამტკიცებულია“  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერის 2018 წლის 12 ივლისის  
N2370 ბრძანებით

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში  
M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით  
ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის  
მაძიებელთა კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული  
საორგანიზაციო საკითხები**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეთა განცხადებების მიღება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად იწარმოებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში. 2018 წლის 30 ივლისიდან 01 აგვისტოს ჩათვლით, 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. N25.

2. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის – პარტნიორების სათანადო წესით გაფორმებული თანხმობა კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე, სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი და წესდების დამოწმებული ასლი, განცხადების წარმომდგენი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ინდივიდუალური მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი და იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლები; საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან იმის თაობაზე, რომ ნებართვის მაძიებლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ნებართვის მაძიებლისათვის საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი საგადასახადო დავალიანების შესახებ;

ვ) დოკუმენტაცია სამარშრუტო ხაზზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და სხვა მაჩვენებლების შესახებ, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი ფორმით, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსიით და მასში ასახული უნდა იყოს:

ვ.ა) მგზავრთა გადაყვანის განსახორციელებლად აუცილებელი ავტობუსების ჩამონათვალი (რაოდენობა, კატეგორია, მარკა, მოდელი, ტევადობა); ამასთან მითითებული უნდა იყოს თითოეული ავტობუსის გამოშვების წელი.

ვ.ბ) ნებართვის მაძიებლის საკუთრებაში/სარგებლობაში ავტობუსების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან ნებართვის მაძიებლის საკუთრებაში/სარგებლობაში ავტობუსების მომავალში გადასვლაზე გაფორმებული ოფიციალურად დამოწმებული წინასწარი შეთანხმება ავტობუსების მწარმოებელთან ან ოფიციალურ გაყიდვების აგენტთან ან ნებისმიერ სხვა პირთან ამ უკანასკნელის საკუთრებაში ავტობუსის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად;

ზ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსის მონაწილე მოქმედებს ნებართვის მაძიებლის სახელით;

თ) ყველა სხვა დოკუმენტი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი აქტით იქნება განსაზღვრული;

ი) თუ ნებართვის მაძიებელი უცხოური კომპანია ან უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მე-2 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული ცნობები გაცემული უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ, ამასთან მითითებული ცნობები ნებართვის გამცემს უნდა წარედგინოს სათანადო წესით აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული სახით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**3.** დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე დოკუმენტების მიწოდება საფოსტო გზავნილის სახით. ამ სახით მიწოდებული განცხადება კომისიის მიერ არ განიხილება და ადრესატს უბრუნდება გაუხსნელი სახით უკან.

**4.** კონკურსში მონაწილეობაზე განცხადების მიღება წყდება დადგენილ დროს. დაგვიანებით წარდგენილი დოკუმენტები არ მიიღება.

**5.** ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას კონკურსში მონაწილეობაზე წერილობითი ფორმით.

**6.** კომისია კონკურსის მოწყობის თარიღამდე ადგენს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას კანონმდებლობასა და კონკურსის პირობებთან.

**7.** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილებით დამტკიცებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის მე-8 მუხლის შესაბამისად, საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით M2 კატეგორიის (მიკროავტობუსის) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასება მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. N1 (ავტოსადგურის ტერიტორია), 2018 წლის 10 აგვისტოდან 17 აგვისტოს ჩათვლით, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე. აღნიშნული პერიოდის შუალედში კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებელ პირებს დამატებით, ზუსტად ეცნობებათ მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასების დროის განრიგი სამარშრუტო ხაზების მიხედვით.

**8.** ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარა“-ში და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: [www.batumi.ge](http://www.batumi.ge).

„დამტკიცებულია“  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერის 2018 წლის 12 ივლისის  
N2370 ბრძანებით

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მადიებელთა კონკურსის ჩატარებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის დებულება**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მადიებელთა კონკურსის ჩატარებისათვის შექმნილი კომისიის საქმიანობის წესს და მის უფლებამოსილებას.

2. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მადიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილებით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

### **მუხლი 2. კომისიის საქმიანობის ორგანიზება**

1. კომისია დამოუკიდებელია. არავის არ აქვს უფლება მოახდინოს რაიმე ზეგავლენა ან/და ჩაერიოს მის საქმიანობაში.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის სხვა წევრები.

3. კომისიის წევრთა მიმართ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 და 92-ე მუხლების მოთხოვნები.

4. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის მუშაობის ორგანიზებაზე.

5. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

6. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ცვლის თავმჯდომარეს, მისი არყოფნის შემთხვევაში.

7. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომა არასაპატიო მიზეზით;

ბ) დაიცვას წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ) დაიცვას კონკურსის მონაწილეთა შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

8. კომისიის წევრებს შეიძლება მიეცეთ აცილება საკითხის განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდება მათი პირდაპირი ან ირიბი კერძო დაინტერესება კომისიაში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებში კომისიის წევრს აქვს თვითაცილების უფლება.

9. კომისიის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს კომისიის სხდომის მდივანი, რომელიც არჩეული იქნება კომისიის პირველ სხომაზე.

10. კომისიის სხდომები ტარდება საჯაროდ.

11. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომებს ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

12. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და კომისიის წევრები.

### **მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილება**

კომისიის უფლებამოსილებას განეკუთვნება კონკურსში მონაწილეობაზე ნებართვის მაძიებლის წერილობითი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შემოწმება, ნებართვის მაძიებლების შეფასება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა.

### **მუხლი 4. საკონკურსო პირობები**

1. ნებართვის მაძიებელმა კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით წერილობითი განცხადება უნდა წარადგინოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, რომელიც დაუყოვნებლივ წარედგინება კომისიას.

2. განცხადება უნდა შესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს და მას თან უნდა დაერთოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილებით დამტკიცებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით მოთხოვნილი ნებართვის მაძიებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტები.

3. კომისია განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ნებართვის მაძიებლის განცხადების შესაბამისობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან და ამ მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებაში მოქმედებს იმავე კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად.

4. ნებართვის მაძიებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის მიერ მითითებულ ვადაში წარადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტი ან მიაწოდოს კომისიას მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე მოახდინოს წარდგენილ განცხადებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომების გასწორება.

### **მუხლი 5. საკონკურსო განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები**

საკონკურსო განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებია:

ა) ნებართვის მაძიებლის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილებით დამტკიცებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობა;

ბ) მონაწილეს უფლება აქვს წერილობითი ფორმით უარი განაცხადოს კონკურსში მონაწილეობაზე, განცხადებების მიღებისათვის ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე ნებისმიერ დროს.

გ) ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემების და/ან მათი დამადასტურებელი დოკუმენტების სიყალბე.

### **მუხლი 6. კომისიის მიერ ნებართვის მაძიებლის შეფასება**

კომისიის მიერ ნებართვის მაძიებლების შეფასება ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილებით დამტკიცებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

### **მუხლი 7. კონკურსის შედეგების შეჯამება**

1. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება თითოეულ სამარშრუტო ხაზზე ცალკე.

2. კომისიის გადაწყვეტილება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ფორმდება ოქმით.

3. ხმის მიცემა წარმოებს ღია კენჭისყრის ფორმით. ხმის მიცემა წარმომადგენლის მემწეობით დაუშვებელია.

4. კომისიის წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან ან ხმა მისცეს იმ საკითხს, რომლის განხილვაშიც არ იღებდა მონაწილეობას.

5. ოქმი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. კომისიის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) კომისიის დასახელება;

ბ) სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) სხდომაში მონაწილე სხვადასხვა საჯარო დაწესებულების წარმომადგენლების, ცალკეული დარგის ექსპერტების/სპეციალისტების ან/და სხვა მოწვეული, აგრეთვე დაინტერესებული პირების ვინაობა (მათი არსებობის შემთხვევაში);

ე) განხილვის საგანი;

ვ) სხვადასხვა საჯარო დაწესებულების წარმომადგენლების, ცალკეული დარგის ექსპერტების/სპეციალისტების ან/და სხვა მოწვეული, აგრეთვე დაინტერესებული პირების ახსნა-განმარტებების აღწერა;

ზ) კენჭისყრის შედეგები;

თ) მიღებული გადაწყვეტილება.

7. კომისიის ოქმი კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ცხადდება საჯაროდ და კონკურსის შედეგების შესახებ კომისიის ოქმი ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

8. კონკურსში გამარჯვებულს, ნებართვის მიღებამდე, უფლება არა აქვს განახორციელოს აღნიშნული საქმიანობა.

### **მუხლი 8. არშემდგარი კონკურსი**

კონკურსი ითვლება არშემდგარად და კომისიის მიერ ფორმდება სათანადო ოქმი:

ა) თუ კონკურსის მოწყობის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ დადგინდა ვადაში არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება;



ბ) საქართველოს ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას.

#### **მუხლი 9. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება**

კონკურსთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი რეგულირდება ურთიერთშეთანხმებით და საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად.

#### **მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი**

1. კომისიის სხდომების ოქმები და საქმისწარმოების სხვა მასალები ინახება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. წინამდებარე დებულებაში და კომისიის შემადგენლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

„დამტკიცებულია“  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერის 2018 წლის 12 ივლისის  
N2370 ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს  
ბატონ ლაშა კომახიძეს

ფიზიკური ან იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის

\_\_\_\_\_

მისამართი: \_\_\_\_\_

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობილი ვარ, რა „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ნებართვის მამიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილებას, „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მაისის N43 დადგენილებას, „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N51 დადგენილებას, ვკისრულობ ვალდებულებას სრულად და ჯეროვნად შევასრულო ზემოხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პირობები და N\_\_\_\_\_ სამარშრუტო ხაზზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მიღების მიზნით, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, წარმოგიდგენთ მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

დანართი: \_\_\_\_\_

განმცხადებელი:

[სახელი, გვარი]

თარიღი:

